საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1066 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „ხარებასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალ სოფელში მდებარე ამ განკარგულების №1 დანართში მითითებული უძრავი ნივთები, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 940 100 (ცხრაას ორმოცი ათას ასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცეს შპს „ხარებას“ (ს/კ: №405132725).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ბ.ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული

№45.01.24.047, №45.01.24.048 და №45.01.24.049 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობის არანაკლებ 25%-ზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და ამავე მიზნით, აგროტექნიკის შეძენა;

ზ.ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ნივთებზე ან/და მათ ნაწილზე ინფრასტრუქტურის (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) საირიგაციო სისტემას, შიდა გზებსა და დამცავი მესრით უზრუნველყოფას) მოწყობა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, არანაკლებ 2000000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ №45.01.24.047, №45.01.24.048 და №45.01.24.049 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში:

დ.ა) ყოველი წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა, ამ განკარგულების №2 დანართის შესაბამისად;

დ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში და ყოველი მე-5 (მეხუთე) წლის ბოლოს, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

3. შპს „ხარება“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე

დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

						დანართი N1
N	მუნიციპალიტეტი	სოფელი	ფართი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა	დანიშნულება	საკადასტრო კოდი
1	ხობი	ახალი სოფელი	1919587	არ არის განთავსებული	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	45.01.24.047
2	ხობი	ახალი სოფელი	17460	არ არის განთავსებული	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	45.01.24.048
3	ხობი	ახალი სოფელი	9603	არ არის განთავსებული	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	45.01.24.049
4	ხობი	ახალი სოფელი	330	N1/2	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.046
5	ხობი	ახალი სოფელი	81	N1 (ნანგრევი)	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.044
6	ხობი	ახალი სოფელი	243	N1 (ნანგრევი)	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.042
7	ხობი	ახალი სოფელი	260	N1	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.045
8	ხობი	ახალი სოფელი	121	N1	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.039
9	ხობი	ახალი სოფელი	231	N1	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.040
10	ხობი	ახალი სოფელი	422	N1 (ნანგრევი)	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.041
11	ხობი	ახალი სოფელი	111	N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი)	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.038
12	ხობი	ახალი სოფელი	378	N1	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.037
13	ხობი	ახალი სოფელი	783	N1	არასასოფლო-სამეურნეო	45.01.24.043

დანართი #2

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე
პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით)

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით)

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება

წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა)

წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი)

რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით?

გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან)